პრაქტიკული მეგზური დამწყებ კინოსცენარისტთათვის.

ნიკოლოზ ომაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევებისა და კულტურის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ხეთაგური, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სრული პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2011

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნიკოლოზ ომაძე

17.06.2014

აბსტრაქტი

ნაშრომში წამოჭრილია ქართველი პროფესიონალი კინოსცენარისტების ნაკლებობის საკითხი. ნაჩვენებია მოყვარული კინოსცენარისტისათვის პროფესიონალად ჩამოყალიბების ერთ-ერთი შესაძლო გზა. განხილულია მსოფლიო კინოინდუსტრიის სტანდარტები და მათი საქართველოში დამკვიდრების აუცილებლობის საკითხი. მიმოხილულია მოცემული სამუშაო თემიდან მზა პროდუქტის შემქნის ეტაპები.

გზამკვლევი გაუადვილებს დამწყებ სცენარისტს თემასთან მუშაობას, იდეის სიუჟეტში ჩამოყალიბებასა და განვრცობას. ფილმის სამაქტიან სტრუქტურასთან მუშაობას,მოკლე და განვრცობილი რეზიუმესა და სრული სამუშაო მონახაზის შექმნას. გააცნობს მას თანამედროვე სცენარის საწერ პროგრამებსა და მათ შესაძლო ქართულ ვერსიებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კინოსცენარისტი, კინოინდუსტრიის სტანდარტი, მაკონტროლირებელი იდეა, სამ აქტიანი სტრუქტურა, მოკლე რეზიუმე, განვრცობილი რეზიუმე, სრული მონახაზი, FinalDraft 8, MovieOutline 3, პირველივერსია.